საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №745

2007 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს საპატრიარქოსათვის ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებიდან სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის (სულ 9.0 ჰა მიწის ფართობი) გამოყოფის შესახებ

1. საქართველოს ტყის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილისა და „სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბნის გამოყოფისა და ამ უბნის ტერიტორიაზე ტყითსარგებლობის, მისი შეზღუდვის, შეჩერებისა და აკრძალვის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 10 დეკემბრის №506 ბრძანებულების შესაბამისად:

ა) დაკმაყოფილდეს საქართველოს საპატრიარქოს თხოვნა და რელიგიურ და სარიტუალო ღონისძიებათა ხელშეწყობის მიზნით ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებიდან გამოეყოს სახელმწიფო ტყის ფონდის მიჩენილი უბანი;

ბ) მიჩენილ უბნად განისაზღვროს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებიდან: ლაგოდეხის მონასტრის მიმდებარედ – კვარტალი №56 ლიტერი №4 – ფართობი 3.0 ჰა; რაჭისუბნის ეკლესიის მიმდებარედ – კვარტალი №45 ლიტერი №13 – ფართობი 3.0 ჰა; მაჭის ციხის მიმდებარედ – კვარტალი №40 ლიტერი №19 – ფართობი 3.0 ჰა, საერთო ფართობი – 9.0 ჰა;

გ) მიჩენის ვადად განისაზღვროს 20 წელი;

დ) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მიჩენილი უბნის გამოყოფის მიზნით კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთ თვეში უზრუნველყოს საქართველოს საპატრიარქოსთან ხელშეკრულების გაფორმება და მიჩენილი უბნის გადაბარება.

2. ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნ. ბურჯანაძე

საქართველოს პრეზიდენტის

მოვალეობის შემსრულებელი